

საქნახშირი

პრესრელიზი

„დატოვე შენი მწვანე კვალი“

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“-მა , გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივის, ივნისი „მწვანე თვე“ მხარდაჭერისა და პარტნიორობის ეგიდით ,მორიგი აქცია „დატოვე შენი მწვანე კვალი“გამართა. „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“-ის მემახტეებმა ქვანახშირის გადამამუშავებელი ფაბრიკისა და თბოელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმე ათეული კიპარისის ჯიშის ნერგები დარგეს, რის შედეგადაც ქალაქში ახალი სარეკრეაციო ზონა გაჩნდა. გამწვანების აქციაში საქნახშირის თანამშრომლებმა და მათი ოჯახის ყველაზე უმცროსმა წევრებმაც მიიღეს მონაწილეობა.

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ , როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ეკო პროექტებსა და ბუნების დაცვის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებში „დატოვე შენი მწვანე კვალის ფარგლებში“ საქნახშირი შემეცნებითი და სხვადასხვა აქციების გამართვას მთელი წლის განმავლობაში გეგმავს.

24.06.2014

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა. კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიმიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

